პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 48 (7859)
13 მარტი, ოთხშაბათი, 1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ და უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებებს. ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალების გამო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გამართულ სამგლოვიარო მიტინგებსა და კრებებზე მშრომელები აცხადებენ მზადყოფნას, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

სურათზე: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ეთხოვებიან კ. უ. ჩერნენკოს. საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მოსკოვი ეთხოვება კ. უ. ჩერნენკოს

ძაძებშია საბჭოთა ქვეყანა. შეწყდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გულის ძგერა.

კ. უ. ჩერნენკომ მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მოახმარა პარტიისა და ხალხის საქმის უანგარო სამსახურს, ბრძოლას სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ სრულყოფისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

12 მარტს 10 საათზე იწყება მშრომელთა გამოთხოვება კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოსთან. კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი, სადაც კვარცხლბეკზე ასვენია კუბო, სამგლოვიაროდ არის მორთული. განსვენებულის სასთუმალთან დაშვებულია დროშები. კუბოსთან ყარაულში გარინდულან საბჭოთა არმიის მეომრები.

კვარცხლბეკის წინ წითელ ბალიშებზეა ჯილდოები, რომლებითაც აღინიშნა კ. უ. ჩერნენკოს დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე: სოციალისტური შრომის გმირის „ნამგალი და უროს“ სამი ოქროს მედალი, ოთხი ლენინის ორდენი, სამი შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები, აგრეთვე მოძმე ქვეყნების უმაღლესი ჯილდოები. აქვეა ლენინური პრემიის ლაურეატის ნიშანი.

განსვენებულის კუბო შემკულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის, ნათესავებისა და ახლობლების სახელით მოტანილი გვირგვინებით.

კავშირების სახლში შემოაქვთ ახალ-ახალი გვირგვინები: მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და სამხარეო საბჭოების აღმასკომების, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და სამხარეო აღმასკომების, პარტიის საოლქო კომიტეტებისა და საოლქო აღმასკომების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით.

დღის 12 საათია. კ. უ. ჩერნენკოს წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად მოვიდნენ ამხანაგები **მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი.** საპატიო ყარაულში განსვენებულის კუბოსთან აგრეთვე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები. მწუხარე დუმილით ისინი პატივს მიაგებენ გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, კომუნიზმისა და ქვეყნად მშვიდობის იდეალების გამარჯვებისათვის თანამიმდევარი მებრძოლის ხსოვნას.

შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები უახლოვდებიან კ. უ. ჩერნენკოს ნათესავებსა და ახლობლებს. ისინი ღრმა სამძიმარს უცხადებენ მათ.

დარბაზის თაღებქვეშ ყრუდ ჟღერს სამგლოვიარო მელოდიები. ყოველ სამ წუთში კუბოსთან იცვლება საპატიო ყარაული. სამგლოვიარო ვახტზე დგანან დამკრძალავი კომისიის წევრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მხედართმთავრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

განსვენებულს ეთხოვებიან ქარხნების, ფაბრიკებისა და მშენებლობების მუშები, თვალსაჩინო მეცნიერები, დედაქალაქის დაწესებულებებისა და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკები, სტუდენტები და მოსწავლეები. ისინი, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიულ კურსს, სსრ კავშირში აშენებული სოციალიზმის სრულყოფის კურსს, რომელიც ყოველმხრივ არის დასაბუთებული კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში. მის სახელთან არის დაკავშირებული პარტიის მიერ შემუშავებული განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემდგომი გაღრმავება და დაკონკრეტება, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებისათვის მუშაობას. ბევრი ძალ-ღონე მოახმარა და დიდი ყურადღება დაუთმო კ. უ. ჩერნენკომ მასებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ კ. უ. ჩერნენკოს შეუნელებელ ზრუნვას საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის გაძლიერებისათვის, ეკონომიკის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში შემდგომი განვითარება პოვა პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ, განისაზღვრა სასურსათო პროგრამის შესრულების, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების აქტუალური ამოცანები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ნათელ ხსოვნას პატივს მიაგებენ პარტიისა და შრომის ვეტერანები.

კონსტანტინე უსტინის ძე დაიბადა გლეხის ოჯახში. შრომითი ცხოვრება დაიწყო სიყრმიდანვე, მოჯამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან. კომკავში-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის სახელით დიდ სამძიმარს გამოთქვამენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, კომუნიზმის იდეალების მტკიცე მებრძოლის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გარდაცვალების გამო.

დიდია დანაკლისი, რომელიც ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ქვეყანამ განიცადეს. უსაზღვროა მთელი საბჭოთა ხალხის მწუხარება. კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალების ამბავმა უაღრესად დიდად ატკინა გული ყველა საბჭოთა ადამიანს, და საბჭოთა საქართველოს თითოეული მშრომელი ღრმად განიცდის ამ უდიდეს დანაკლისს.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მკაფიო, დაუვიწყარი კვალი დატოვა ქვეყნის ცხოვრებაში, თითოეული კომუნისტის, თითოეული საბჭოთა ადამიანის გულსა და მეხსიერებაში.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო დღენიადაგ უდიდეს ყურადღებას უთმობდა სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და პოლიტიკური აქტიურობის განვითარებას, იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფას, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის შემდგომ განმტკიცებას. და ჩვენ ყოველნაირად ვიბრძოლებთ, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი — ჩვენს ქვეყანაში აშენებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსი, როგორც ამას ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მოგვიწოდებდა.

ამ გლოვის დღეებში, ისევე როგორც ყოველთვის უმძიმეს მომენტებში, პარტია კიდევ უფრო რაზმავს თავის რიგებს ლენინური სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს გარშემო.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ახსოვთ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ყოფნა საქართველოში, ქალაქ თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს მის მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებანი და მითითებანი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნის პატივსაცემად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, მთელი ჩვენი ხალხი კიდევ უფრო ამტკიცებენ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, თავიანთ ერთიანობასა და მონოლითურობას, ამაღლებენ შრომითსა და პოლიტიკურ აქტიურობას.

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი აღუთქვამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ ლენინური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, კომუნისტური მშენებლობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის გეგმები, რომლებსაც მთელი ნათელი სიცოცხლე შეალია კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ.

საქართველოს	საქართველოს სსრ	საქართველოს
კომპარტიის	უმაღლესი	სსრ
ცენტრალური	საბჭოს	მინისტრთა
კომიტეტი	პრეზიდიუმი	საბჭო

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

მოსკოვი ეთხოვება კ. უ. ჩერნენკოს

დასასრული

ჩულ, შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკავშირო ალკკ და სკკპ რაიკომების განყოფილებათა გამგე, მუშაობდა პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნად, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ და მდივნად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე, რომელიც გაიმართა 1984 წლის თებერვალში, კ. უ. ჩერნენკო აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. იგი იყო სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოების დეპუტატი. 1984 წლის აპრილში სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე კ. უ. ჩერნენკო აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მაღალ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა კ. უ. ჩერნენკოს, მან თავი გამოიჩინა, როგორც ერთგულმა და მტკიცე მარქსისტ-ლენინელმა, მშვიდობისა და ადამიანის ბედნიერებისათვის აქტიურმა მებრძოლმა. მან, რომელსაც უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება, საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა, დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის შემუშავებისა და განხორციელებისათვის პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური სტილის განვითარება-განმტკიცებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურ საქმიანობაში.

მწუხარე დუმილით მოდიან საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები. კოლონებში არიან ჯარისკაცები, მფრინავები, მეზღვაურები, სასწავლებლის კურსანტები, აკადემიის მსმენელები და მასწავლებლები. მათ ახსოვთ, რომ 1930 წელს კ. უ. ჩერნენკო მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში, სადაც 1931 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1933 წლამდე იგი მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

კ. უ. ჩერნენკო, მეთაურობდა რა სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს, ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში კ. უ. ჩერნენკო დაუცხრომლად მუშაობდა, რათა განეხორციელებინა ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. ამ პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერდნენ და კვლავაც უჭერენ მხარს საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ხსოვნას პატივი მიაგეს დიპლომატიური კორპუსის წევრებმა.

კ. უ. ჩერნენკოს ნათელ ხსოვნას პატივი სცეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებმა.

მთელ დღეს ათი ათასობით მოსკოველი ეთხოვებოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს. იგი ჩვენს ხსოვნაში დარჩება, როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, როგორც გულისხმიერი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანის საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი.

საბჭოთა ადამიანებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. პატივს მიაგებენ რა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელის ხსოვნას, ისინი პირობას სდებენ, რომ გამოიჩენენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, იშრომებენ მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებით, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდი ოქტომბრის დროშას. (საქდესი).

ჩვენი ძალაა ერთიანობა და შეკავშირება

საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა დიდი გულისტკივილით აღიქვეს ცნობა ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გარდაცვალების შესახებ. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მიმდინარე სამგლოვიარო მიტინგებისა და კრებების მონაწილენი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდად გლოვობენ მძიმე დანაკლისის გამო, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ისინი მთლიანად და სავსებით იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთგული ლენინელის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის არჩევას, აცხადებენ, რომ განუხრელად ივლიან არჩეული გზით — აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით, თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

თბილისი

უსაზღვროა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის გლოვა. რესპუბლიკის დედაქალაქის ამ უდიდესი საწარმოს ერთ-ერთ საამქროში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე მისმა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავი დახარეს ერთგული ლენინელის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, კომუნიზმის იდეალებისათვის, მშვიდობისათვის მტკიცე მებრძოლის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ნათელი ხსოვნის წინაშე.

— დიდხანს არ ეწერა კონსტანტინე უსტინის ძეს ეშრომა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში, — თქვა ქარხნის პარტკომის მდივანმა ა. მიხაილოვმა, რომელმაც მიტინგი გახსნა,—მაგრამ რა ბევრი რამის გაკეთება შეძლო მან ამ დროში, რა ბევრი რამ ახალი, ნაყოფიერი დამკვიდრდა პრაქტიკაში. ასრულებდა რა სკკპ XXVI ყრილობის კურსს, შემოქმედებითად ამდიდრებდა მას, პარტიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გულდაჯერებით წაწია ქვეყანა წინ ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

მიტინგზე გამოვიდნენ ზეინკალთა ბრიგადირი ვ. კობალაძე, ინჟინერ-ტექნოლოგი ა. ნარიმანიძე, პარტკაბინეტის გამგე ზ. გეოქჩოგლიანი და სხვები, რომლებმაც განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ არა მარტო განამტკიცონ არამედ განავითარონ კიდეც მიღწეული, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

სოხუმი

სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მეორე სამკერვალო საამქროს კონვეიერის ხაზები შეჩერდა. აქ კ. უ. ჩერნენკოს ხსოვნის პატივსაცემად გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე შეიკრიბნენ აფხაზეთის დედაქალაქის ამ მოწინავე საწარმოს მუშები და მოსამსახურეები.

— აღარ ძგერს პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის, თანამიმდევარი ინტერნაციონალისტის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მტკიცე და ურყევი მებრძოლის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გული, — თქვა კომბინატის პარტკომის მდივანმა ზ. ამიჩბამ, რომელმაც მიტინგი გახსნა. — მთელი მისი სიცოცხლე არის კომუნიზმის დიადი იდეალებისადმი, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმისადმი, მშრომელი ადამიანისათვის ზრუნვის მკაფიო მაგალითი.

ბევრი პასუხსაგები პოსტი ეკავა თავისი ცხოვრების მანძილზე კონსტანტინე უსტინის ძეს, და თითოეულ მათგანზე მისი მუშაობა გამოირჩეოდა მაღალი პრინციპულობით, ჭეშმარიტად ლენინური მიდგომით ყველა საარსებო პრობლემისადმი. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის კანონზომიერებათა ღრმა გაგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე.

ეს თქვეს მიტინგზე პირველი სამკერვალო საამქროს მუშამ, საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. ბუგროვამ, გამომჭრელ-საჩითავი საამქროს მუშამ მ. ჩანგელიამ, მეორე სამკერვალო საამქროს მუშამ ლ. პალბამ, კომბინატის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ბ. გულიამ. დღეს, ითქვა მიტინგის ტრიბუნიდან, კომბინატის კომუნისტები, მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო, აცხადებენ, რომ კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

ბათუმი

ძაძებშია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის № 2 საამქროს წითელი კუთხე. აქ ვახტების შესაყარზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნის პატივსაცემად.

— მძიმე დანაკლისი განიცადეს ჩვენმა პარტიამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა, — თქვა ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. გუდეწკომ, რომელმაც მიტინგი გახსნა. — კონსტანტინე უსტინის ძის სიცოცხლე მაღალი მოვალეობისადმი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის თავდადებული სამსახურის მაგალითია. იგი გულისხმიერად ეკიდებოდა მშრომელი ადამიანების საჭიროებებსა და საზრუნავს და მთელ ძალ-ღონეს ახმარდა სამშობლოს კეთილდღეობას, მის ხვალინდელ დღეს.

მიტინგზე გამოვიდნენ ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის ლაბორანტი ს. კურცერი, № 41 დანადგარის უფროსი ფ. ცინცაძე, დიდი სამამულო ომის მონაწილე მ. სვალოვი. მათ განაცხადეს, რომ შრომით განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს, რომლისთვისაც დაუცხრომლად იბრძოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, ამრავლებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

ბათუმელმა ნავთობგადამამუშავებლებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ორი თვის დავალება, განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარონ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმის დამკვრელურად შესრულებას, ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური ლენინური პარტიის XXVII ყრილობას.

ცხინვალი

— მძიმეა იმის შეგნება, რომ აღარ ძგერს ადამიანის გული, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ხალხისადმი შთაგონებული სამსახურის, ლენინური იდეალებისადმი ერთგულების ნიმუში, — თქვა ცხინვალის „მინანქარსადენის" ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ჯიოევმა, რომელმაც სამგლოვიარო მიტინგი გახსნა. — პარტიის კურსი, რომლის მთავარი მიზანია ზრუნვა საბჭოთა ადამიანების, მშრომელი კაცის კეთილდღეობისათვის, მკაფიოდ გამოიხატება ქვეყნის, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარებით.

ტრიბუნაზეა სპეციალური ჯაგრისებური სადენების საამქროს უფროსი შ. არჩვაძე. მან თქვა:

— აღვუთქვამთ პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს მოვახმართ მის წინასწარდასახულობათა შესრულებას, საქმეს, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეალია კ. უ. ჩერნენკომ.

მიტინგზე გამოვიდნენ ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი, ომისა და შრომის ვეტერანი ბ. გასიევი, მოწინავე მუშა ლ. მამიტოვი და სხვები.

* * *

სამგლოვიარო მიტინგებისა და კრებების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებანი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის არჩევა. მათ განაცხადეს, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებული ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, შეიარაღებული არიან პარტიის XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული მოქმედების მკაფიო და ზუსტი პროგრამით, ყოველ ღონეს იხმარენ სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მისი ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. (საქინფორმი).

მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის შედეგები, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის რიგგარეშე სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარეთის კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი კვლავაც განახორციელებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის, ბულგარელი ხალხისა და დიდი მოძმე საბჭოთა ხალხების ყოველმხრივ თანამშრომლობის პოლიტიკას განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისა და სრულყოფისათვის, მშვიდობისა და კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. პოლიტბიურომ პატივი სცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის უდრეკი მებრძოლის კ. უ. ჩერნენკოს ხსოვნას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პირველი მცნება ის არის, წერს უნგრული **„ნეპსაბადშაგი"**, რომ დაიცვან და ყოველმხრივ განამტკიცონ ძმური მეგობრობა უახლოეს თანამოსაგრეებთან და მოკავშირეებთან — დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ამ აზრს მთელი ძალით გაუსვა ხაზი პლენუმზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწემ მ. ს. გორბაჩოვმა. მან აღნიშნა, რომ მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ლენინის პარტია, როგორც ყოველთვის, მჭიდროდ ითანამშრომლებს მოძმე კომუნისტურ, მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებთან, მხარს დაუჭერს მთელ რევოლუციური ძალების ერთიანობასა და აქტიურ ურთიერთმოქმედებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა პეკინში ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე პასუხის გაცემისას განაცხადა: კმაყოფილებით აღვნიშნეთ პოზიტიური შეფასება, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით.

მ. ს. გორბაჩოვმა, წერს **„ნიუიორკ ტაიმსი"**, ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემდგომი განვითარების პრინციპული პროგრამა, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირმა გადამწყვეტი შემობრუნება უნდა მოახდინოს ინტენსიური განვითარების რელსებზე სახალხო მეურნეობის გადაყვანაში, რათა მიაღწიოს ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ პოზიციებს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეს. საბჭოთა ხელმძღვანელმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირს სურს დაგროვილი შეიარაღების ნამდვილი და დიდი შემცირება და არა იარაღის ახალ-ახალი სისტემების შექმნა, კოსმოსში იქნება ეს თუ დედამიწაზე.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა, წერს იაპონური **„მაინიტი"**, განაგრძობს მიზანმიმართულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს მშვიდობიან თანაარსებობას, ხალხების უშიშროების უზრუნველყოფას.

სსრ კავშირმა კიდევ ერთხელ მთელი ძალითა და ავტორიტეტულობით დაადასტურა, რომ სიმპათიით ეკიდება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, რომლებიც ადგანან დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური განახლების გზას, ხაზს უსვამს სირიის **„ახ-საუარა"**. ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის მეგობრები და პარტნიორები არიან მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხების უკეთესი, სამართლიანი ურთიერთობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი საქმით ცხადყოფს, რომ ერთგულობს მშვიდობასა და განიარაღებას, და მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნად მშვიდობა.

(საქდესი, 12 მარტი).

1942 წელს საკავშირო ჩემპიონატები და დიდი მასშტაბის ტურნირები არ ჩატარებულა. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ომის ქარცეცხლი მძვინვარებდა — ფაშისტური სამხედრო მანქანა ჯიუტად მოიწევდა ჩვენი სამშობლოს შუაგულისაკენ. ამ მძიმე განსაცდელის ჟამს საბჭოთა ხალხი პარტიისა და მთავრობის მოწოდებით ერთსულოვნად და მტკიცედ დაირაზმა მტერთან საბრძოლველად.

საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების მთელი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ამოცანა მარტივი და გასაგები იყო: განმათავისუფლებელი არმიისთვის საბრძოლო რეზერვის მომზადება, დაჭრილ მებრძოლთა ბრძოლისუნარიანობის სრული და უსწრაფესი აღდგენა. ფიზკულტურული მოძრაობა საყოველთაო სამხედრო სწავლების განუყოფელი ნაწილი გახდა.



სპორტი სამამულო ომის პერიოდში

ამ პერიოდში დიდი როლი დაეკისრა მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის უმდიდრესი ისტორიული გამოცდილების განზოგადებას. საქართველოს ბევრ რაიონში ჩამოყალიბდა საცხენოსნო სპორტის სკოლები, მთამსვლელთა ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ წვევამდელთა ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას. საქართველოს ალპურმა კლუბმა კავკასიონის მწვერვალებზე წვევამდელთა რამდენიმე გასამხედროებული ლაშქრობაც კი ჩაატარა. ალპინიზმის ინსტრუქტორთა ახალი კადრების მომზადების მიზნით ჩვენს რესპუბლიკაში სპეციალური სკოლა შეიქმნა, თოვლიან რაიონებში კი სამთო-მოთხილამურეთა შენაერთები ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად, 1942 წელს დუშეთისა და ზემო სვანეთის რაიონებში შექმნილი სამთო-მოთხილამურეთა რაზმები საბჭოთა არმიის მეომრებს ქმედითად და აქტიურად ეხმარებოდნენ.

ომის პირველ წლებში, ისევე როგორც მთელი სამამულო ომის პერიოდში, სახელმწიფოებრივ საქმედ ითვლებოდა დაჭრილი მებრძოლების ჯანმრთელობის, მათი ბრძოლისუნარიანობის აღდგენა. ამ საქმეში ფრონტს უდიდეს დახმარებას უწევდა სამკურნალო ფიზკულტურის პროგრესული საშუალებების დანერგვა. მკურნალობის ეს მეთოდები განსაკუთრებით გავრცელებული იყო სამხედრო ჰოსპიტლებში და მან ერთობ დადებითი შედეგები გამოიღო.

1942 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა საკავშირო მთავრობის დადგენილება არასრული და სრული საშუალო სკოლების V-X კლასებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების თაობაზე. სკოლებში შემოიღეს სამხედრო და ფიზიკური მომზადების ახალი პროგრამა. ამ პროგრამაში აქცენტი ფიზაღზრდის სამხედრო გამოყენებით მნიშვნელობაზე იქნა გადატანილი.

ფართოდ გაიშალა, დაზუსტდა და დაიხვეწა სკოლისგარეშე ფიზკულტურული მუშაობის მეთოდები, ფორმები, სავალდებულო გახდა იმშთ და მშთ-ს კომპლექსთა ნორმატივების შესწავლა და ჩაბარება. ამ საქმეში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ბავშვთა სპორტული სკოლები, რომელთა რაოდენობა 1943 წლისთვის ერთორად გაიზარდა.

ამ პერიოდში შესამჩნევად გამოცოცხლდა სპორტული ცხოვრება, ჩატარდა რამდენიმე საკავშირო ჩემპიონატი, რომლებშიც თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც.

ტანვარჯიში. სსრ კავშირის VIII პირადი პირველობის მონაწილენი 17-20 აგვისტოს მოსკოვში შეიკრიბნენ. ვაჟთა მრავალჭიდში გამარჯვება მოსკოველმა ნ. სერიმ მოიპოვა (110 შესაძლებლიდან 104,1 ქულა). კარგად იასპარეზეს ჩვენმა თანამემამულეებმა — ა. ჯორჯაძემ და ნ. თაყაიშვილმა. პირველმა მრავალჭიდში 96,45 ქულით VI ადგილი დაიკავა, მეორემ — VII (95,95 ქულა). ჯორჯაძე ამავე დროს, სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ღერძზე ვარჯიშში — 19,4 ქულა.

საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება ქალთა მრავალჭიდშიც. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მოსკოვის დინამოელმა გ. ურბანოვიჩმა. ათეულში მოხვდა თბილისის „დინამოს" წარმომადგენელი შ. ქოიავა (92,15 ქულით VIII ადგილი).

მძლეოსნობა. 5-9 სექტემბერს გორკში ჩატარდა XV საკავშირო ჩემპიონატი. ვაჟთა შეჯიბრების პრიზიორებში ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი არ გასულა. საყურადღებოა ერთი ფაქტი — ბირთვის კვრაში მესამე ადგილი დაიკავა იმ დროს უკვე ცნობილმა მოჭიდავემ, ესტონელმა იოჰანეს კოტკასმა. გამარჯვებულ ვ. ტუტევიჩს (13 მ 67 სმ) იგი მხოლოდ 19 სანტიმეტრით ჩამორჩა.

ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში ნინო დუმბაძეს კონკურენტი, ფაქტიურად, არც კი ჰყავდა. ჩვენმა თანამემამულემ პირველობა მოიპოვა საერთაშორისო კლასის შედეგით — 48 მ 77 სმ. მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა მოსკოველმა მტყორცნელებმა ა. სტეპანოვამ და კ. მაიუჩაიამ შესაბამისად 40 მ 48 სმ და 39 მ 95 სმ. აჩვენეს.

კრივი. დეკემბრის მიწურულს მოსკოვში ჩატარდა აბსოლუტური პირველობა, რომელმაც კრივის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა წარსულში ცნობილი მოკრივე კონსტანტინე გრადოპოლოვი, შეჯიბრებისთვის ექვსი უძლიერესი კანდიდატი შეარჩია: მოსკოველები—ნიკოლოზ კოროლიოვი, ევგენი ოგურენკოვი, ვიქტორ სტეპანოვი, ივანე განიკინი და ორი თბილისელი მოკრივე — ანდრო ნავასარდოვი და ლევან ღუდუშაური. ტურნირი ჩატარდა წრიული სისტემით. ბრძოლა გრძელდებოდა ექვს რაუნდამდე (რაუნდის ხანგრძლივობა 2 წუთი იყო). აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საშუალო წონის მოკრივემ ევგენი ოგურენკოვმა, რომელმაც ფინალში თბილისელი ანდრო ნავასარდოვი დაამარცხა. ეს უკანასკნელი II ადგილზე დარჩა, რაც თავისთავად დიდი წარმატება იყო.

ჭიდაობა. ნოემბრის თვეში გორკში გაიმართა საბჭოთა კავშირის აბსოლუტური პირველობა კლასიკურ (მაშინ მას ფრანგულს უწოდებდნენ) ჭიდაობაში, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: ი. კოტკასი, ა. კაზანსკი, ა. მაზური, ვ. ლისენკო, მ. სტრიჟაკი, კ. კობერიძე, ა. მეკოკიშვილი, ვ. მაჩკალიანი.

აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ი. კოტკასი, რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრე მესამე ადგილი დაიკავა მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში. II პრიზიორი გახდა კ. კობერიძე, III — ა. კაზანსკი.

ძალოსნობა. საკავშირო ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში ისევ გორკში ჩატარდა. პირველობა გათამაშდა ექვს წონაში. თბილისელმა ათლეტებმა მ. კასიანიკმა და მ. ჟღენტმა ჩემპიონთა სახელი დაისაკუთრეს. მ. კასიანიკი უძლიერესი იყო ქვემსუბუქ წონაში — 305 კგ. მ. ჟღენტი კი მსუბუქში — 325 კგ.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: მოსკოველი მ. კოსარევი (მჩატე), ნოვოსიბირსკელი გ. ნოვაკი (საშუალო), მოსკოველები ა. ბოჟკო (ქვემძიმე) და ი. კუცენკო (მძიმე).

CITIUS • ALTIUS • FORTIUS
სპორტის ოლიმპიური სახეობები

კალათბურთი

თანამედროვე კალათბურთი, როგორც სპორტის სახეობა — ყველამ კარგად იცის — სპრინგფილდის კოლეჯის მასწავლებელმა ჯეიმს ნეისმიტმა ჩამოაყალიბა 1891 წელს. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცის დასაწყისში კალათბურთი გავრცელდა ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში (ბრაზილია, არგენტინა, ჩილი, იტალია, უნგრეთი, რუმინეთი, შვეიცარია...). 1904 და 1932 წლებში, როცა ოლიმპიური თამაშები ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა, მასპინძლებმა კალათბურთელთა საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს. 1932 წელს შეიქმნა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია — ფიბა, რომელიც დღეს 150-ზე მეტ ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს. უნდა ითქვას, რომ წევრთა რაოდენობით ეს ფედერაცია ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიოში, 30-იან წლებამდე კი კალათბურთის გავრცელების არე მცირე იყო და სწორედ ამის გამო 1936 წლამდე იგი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ შეუტანიათ. 1936 წლიდან კი კალათბურთელ ვაჟთა ტურნირები ყველა ოლიმპიადის პროგრამაში შედის; 1976 წლიდან ეწყობა ოლიმპიური ტურნირები ქალთა შორისაც. კალათბურთელთა ოლიმპიურ ასპარეზობებში დღესდღეობით 12 ვაჟთა და 6 ქალთა გუნდი მონაწილეობს. მათგან ნახევარი წინა ოლიმპიადის შედეგების მიხედვით განისაზღვრება, დანარჩენ მონაწილეთა გამოვლენა კი შესარჩევ შეჯიბრებებში ხდება. კალათბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში ყველა ქვეყანას ვაჟთა და ქალთა თითო გუნდის გამოყვანა შეუძლია. თითოეულ გუნდში 12 მოთამაშე უნდა იყოს.

ყველაზე დიდ წარმატებას ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს. მათ ცხრაჯერ მოიპოვეს ჩემპიონობა 1952 წლიდან. მას შემდეგ, რაც ოლიმპიადებში საბჭოთა სპორტსმენები ჩაებნენ, ოლიმპიური საკალათბურთო ტურნირი ძირითადად ამერიკისა და საბჭოთა გუნდების „დუელად" იქცა. მოსკოვის თამაშებამდე იუგოსლაველებმა მხოლოდ ორჯერ შეძლეს კალათბურთის ამ ორი გიგანტის დავაში ჩარევა: 1968 და 1976 წლებში მათ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

1972 წლამდე ამერიკელი კალათბურთელები ოლიმპიადების უცვლელი ჩემპიონები იყვნენ. ხოლო საბჭოთა სპორტსმენები ოთხჯერ ზედიზედ ფლობდნენ ვერცხლის მედლებს. მიუნხენის სამი წამი კი სპორტის ყველა მოყვარულს კარგად ახსოვს:

ამერიკელები უკვე ზეიმობენ გამარჯვებას. არადა, დასანანია ასეთი მატჩის წაგება — პირველიდან მეათე წუთამდე წინ საბჭოთა კალათბურთელები იყვნენ და სწორედ შეხვედრის მიწურულს ამერიკელები ერთი ქულით დაწინაურდნენ — 50:49. ფინალური მატჩის ერთ-ერთი მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზურაბ საკანდელიძე ასე იგონებს იმ მომენტს:

„ალექსანდრე ბელოვი ამერიკელთა ფარქვეშ პარტნიორს ეძებს ბურთის გადასაცემად. ქულას ვიგებთ. მატჩის დამთავრებამდე კი ათიოდე წამი რჩება. ბელოვმა ჩემზე შეაჩერა არჩევანი. კოლინზმა ჩაჭრა პასი და ჩვენი კალათისაკენ დაიძრა. თუ ჩააგდო, ყველაფერი დამთავრებულია, ბურთის გამოტანასაც ვერ მოვასწრებთ — სანამ ბურთს ავიღებთ, სანამ პირით ხაზს იქით გავიტანთ... ამასობაში წამმზომი თავისას იზამს. ყველაფერმა როგორღაც უცბად გამიელვა თავში. კოლინზის შეჩერებაა საჭირო! ნებისმიერი საშუალებით! ზურგით ვიდექი, შემოვტრიალდი და გამოვეკიდე... კოლინზმა ორჯერვე ზუსტად ტყორცნა და ახლა ამერიკელთა გუნდი დაწინაურდა. ბურთი ედეშკომ გამოიტანა, სერგეი ბელოვმა ცენტრიდან სცადა და ააცდინა. საფინალო სირენა. ამერიკელები გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს, თუმცა ზოგიერთს მოეჩვენა, რომ დრო ადრე ჩაირთო. გადამწყვეტი თვით ფიბას პრეზიდენტის მისტერ ჯონსის აზრი გამოდგა. მსაჯებს მითითება მიეცათ, თავიდან გაემეორებინათ ყველაფერი. ამ არეულობაში კონდრაშინმა მოასწრო წუთშესვენების აღება. სწორედ მაშინ მოვილაპარაკეთ, ალექსანდრე ბელოვი მეტოქის ფარქვეშ დალოდებოდა ედეშკოს პასს".

წამმზომზე სამად სამი წამია დარჩენილი. არავის, თითქმის არავის ეეჭვება ამერიკელთა საბოლოო გამარჯვება, არც მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზზე შეკრებილ მაყურებელს, არც ტელეეკრანს მიჯაჭვულ მილიონობით გულშემატკივარს, არ ეეჭვებათ ამერიკელთა გამარჯვება ოლიმპიური ტურნირის მონაწილე კალათბურთელებს და ალბათ თავად ამერიკელებსაც. ფიბას პრეზიდენტი ჯონსიც დარწმუნებულია თანამემამულეთა გამარჯვებაში. არავის, არავის ეეჭვება ამერიკელთა გამარჯვება საბჭოთა გუნდის გარდა. მართლაც, კარგად რომ დაუკვირდე, რა შეიძლება მოხდეს სამ, სამად სამ წამში? რა შეიძლება და... შეიძლება ამ სამ წამში საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხონ ამერიკის გუნდი და პირველად ოლიმპიადების ისტორიაში უოქროსმედლებოდ დატოვონ იგი, ამ სამ წამში შეიძლება მოდესტას პაულაუსკასი, მიხეილ ქორქია, ზურაბ საკანდელიძე, ალჟან ჟარმუხამედოვი, სერგეი ბელოვი, ალექსანდრ ბელოვი, ივან დვორნი, სერგეი კოვალენკო, ანატოლი პოლივოდა, ივან ედეშკო, ალექსანდრ ბოლოშევი და გენადი ვოლნოვი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ! ამისათვის ძალზე ცოტაა საჭირო: ივან ედეშკომ იუველირის სიზუსტით უნდა გადააწოდოს ბურთი მოედნის მეორე ბოლოში ამერიკელთა გარემოცვაში მყოფ ალექსანდრ ბელოვს, მან კი, სანამ წამმზომის ისარი სამ დანაყოფს გაივლიდეს, უნდა მოასწროს და ბურთი ზუსტად ტყორცნოს კალათში. ყველაფერი სწორედ ასე მოხდა! ივან ედეშკომ იუველირის სიზუსტით გადააწოდა ბურთი მოედნის მეორე ბოლოში ამერიკელთა გარემოცვაში მყოფ ალექსანდრ ბელოვს, მან კი, სანამ წამმზომის ისარი სამ დანაყოფს გაივლიდა, მოასწრო და ბურთი ზუსტად ტყორცნა კალათში (ბურთი თამაშში შესულად ითვლება მას შემდეგ, რაც მას შეეხება რომელიმე მოთამაშე, გარდა იმისა, ვინც ბურთი თამაშში შეიტანა). ანგარიში გახდა 51:50 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. კალათბურთის ისტორიას არ ახსოვს ასეთი დრამატული მატჩი.

შემდეგ ოლიმპიადაზე, მონრეალში, ამერიკელმა კალათბურთელებმა დაიბრუნეს ჩემპიონის ტიტული. „სამაგიეროდ" იმ ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა, რომლებმაც ფინალში სწორედ ამერიკელები დაამარცხეს.

მოსკოვის ოლიმპიადაზე საბჭოთა ქალებმა შეინარჩუნეს ჩემპიონის წოდება. რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, იმის გამო, რომ ოლიმპიადაზე ამერიკელი სპორტსმენები არ ჩამოსულან, გამარჯვებას ყველა საბჭოთა ნაკრებს „უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. მეტიც — საბჭოთა კალათბურთელები ფინალშიც ვერ გავიდნენ. პირველი ადგილი დაიკავეს იუგოსლაველებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს იტალიელები — 86:77. საბჭოთა კალათბურთელებს ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. მათ შორის იყო საქართველოს წარმომადგენელი ნიკოლოზ დერიუგინიც. სხვადასხვა დროს ოლიმპიადების ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ ქართველი კალათბურთელები: ნოდარ ჯორჯიკია (1952), ოთარ ქორქია (1952), გურამ მინაშვილი (1960), ვლადიმერ უგრეხელიძე (1960) და ლევან მოსეშვილი (1964). ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ოქროს მედლებზე უკვე ვთქვით. ისინი ამასთანავე ოლიმპიადების ბრინჯაოს პრიზიორებიც არიან. პირველმა ეს ჯილდო 1968 წელს მოიპოვა, მეორემ — 1976 წელს.

ამერიკელი კალათბურთელები შვიდჯერ ზედიზედ იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები და თითქოს მრავლად უნდა ჰყავდეთ სამგზის თუ არა, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები მაინც: მაგრამ საქმე ის არის, რომ ამერიკელები ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე ძირფესვიანად ანახლებდნენ თავიანთ გუნდს, ძირითადად იმის გამო, რომ გამარჯვებულები პროფესიონალებში გადადიოდნენ, და მხოლოდ ორჯერ მოხდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი კვლავ შეიყვანეს ნაკრებში. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან რობერტ კურლანდი (1948 და 1952) და უილიამ ჰაუგლანდი (1952 და 1956). აქვე იმასაც დავძენთ, რომ სხვადასხვა დროს ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ ამერიკული პროფესიული კალათბურთის ისეთი აღიარებული ვარსკვლავები, როგორიც არიან ბილ რასელი (1956), ჯერი ლუკასი (1960), ოსკარ რობერტსონი (1960), სპენსერ ჰეივუდი (1968) და სხვები. ქალთა შორის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან საბჭოთა კალათბურთელები ანგელე რაუპშენე, ტატიანა ნადიროვა (ზახაროვა), ოლია კოროსტილიოვა (ბარიშევა), ტატიანა ოვეჩკინა, ნადეჟდა ოლხოვა (შუვაევა), იულიანა სემიონოვა, ნელი ფერიაბნიკოვა და ოლგა სუხარნოვა.

საბჭოთა კალათბურთელი ქალების არყოფნა დიდად დაეტყო ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ ტურნირს. ოლიმპიადის მასპინძლებმა იოლად დაამარცხეს ყველა მეტოქე და ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. მეორე და მესამე ადგილები სამხრეთ კორეისა და ჩინეთის კალათბურთელებმა დაიკავეს. ადვილად გაიმარჯვეს ამერიკელმა ვაჟებმაც. მათ ფინალში ანგარიშით 96:65 დაამარცხეს ესპანელები, რომლებმაც თავის მხრივ ნახევარფინალში ანგარიშით 74:61 მოუგეს მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონებს — იუგოსლაველ კალათბურთელებს.

გიორგი ჯორჯაძე.

მოკლედ

ჩემპიონთა ღირსეული რეზერვი

ბრიანსკი. ქარხანა „დორმაშის" სპორტის სასახლეში ჩატარდა ახალგაზრდა სამბისტთა საკავშირო პირველობა.

სამბომ კარგა ხანია პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში. 65-მა ქვეყანამ უკვე მოაწერა ხელი აქტს საერთაშორისო ფედერაციის შექმნის თაობაზე. აპრილში ესპანეთის დედაქალაქში ჩატარდება ჭიდაობის ამ სახეობის წარმომადგენელთა პირველი დამფუძნებელი კონგრესი.

მსოფლიო სამბოს ლიდერებად, სავსებით სამართლიანად, საბჭოთა ათლეტები ითვლებიან. ბრიანსკის ტურნირმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენს სახელოვან ჩემპიონებს ღირსეული რეზერვი ჰყავთ.

საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ე. იმანქულუსუპოვმა (ყაზახეთი), დ. ჯამაკულოვმა (თურქმენეთი), ნ. ბელოუსოვმა, ა. ჟუტლევმა (ორივე — რსფსრ), დ. კონდიროვმა (უკრაინა), ვ. ლაპკინმა (მოსკოვი), ა. მოგუშკოვმა, ვ. ლუტინსკიმ (ორივე — უკრაინა), ს. კოსოროტოვმა (რსფსრ), ა. გუბელაძემ (საქართველო).

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სამბისტის წარმატება, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის ათლეტებს მძიმე წონაში კარგა ხანია ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ.

გუნდურ ჩათვლაში დინამოელებმა გაიმარჯვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ არმიელი და „ბურევესტნიკის" სამბისტები.

დავით გობეჯიშვილი საუკეთესო იყო

ფიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კლასიფიკაციაში ცნობილი ბულგარელი მოჭიდავის დან კოლევის მემორიალს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ამ ტურნირში, ტრადიციულად, მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები მონაწილეობენ. ასე იყო ამჯერადაც. მორიგ მემორიალში, რომელიც 10 მარტს დამთავრდა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, 13 ქვეყნის 250 თავისუფალი სტილის მოჭიდავე გამოდიოდა.

ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებზე საბჭოთა ნაკრების წევრმა, თბილისელმა დავით გობეჯიშვილმა (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ სალარაძე). იგი მემორიალის მთავარი ლაურეატი

გახდა მძიმე წონაში გამარჯვებისათვის. ამას გარდა გობეჯიშვილს, როგორც ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავეს, სპეციალური პრიზი გადაეცა.

ქართველმა მოჭიდავემ ამ შეჯიბრებაში სულ ოთხი ბრძოლა ჩაატარა. სამი წმინდად მოიგო (მათ შორის ერთი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონთან, ბულგარელ დინგოსთან) და ერთიც ქულებით. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გობეჯიშვილის მეოთხე ორთაბრძოლას (იგი ამავე დროს ფინალური შეხვედრა გახლდათ) ბულგარელ ათანასოვთან. ქართველმა მოჭიდავემ დიდი ალმავლობით იჭიდავა, შვიდი ქულა აართვა მეტოქეს (ათანასოვმა მხოლოდ ერთხელ გადაიყვანა მეტოქე ჩოქბჯენში) და პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ქართველმა მოჭიდავემ მამუკა რაზმაძემ (90 კგ) VI ადგილი დაიკავა, მაგრამ ვინაიდან ამ წონაში რამდენიმე ბულგარელი ათლეტი ასპარეზობდა, მას მესამე პრიზი გადაეცა.

აღნიშნულ ტურნირში საბჭოთა მოჭიდავეთაგან წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე ვარაევმა (პირველი ადგილი დაიკავა 74 კგ წონით კატეგორიაში) და მამედიაროვმა (62 კგ-ში მესამე ადგილი).

ინფორმაცია

სპორტის ოსტატი მეხუთე კლასშია

ოთხი ქართველი წყალში მხტომელი, რომელთაც ამას წინათ თავი გამოიჩინეს სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში, 25-26 მარტს მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ასპარეზობაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. შეჯიბრება ახლო მომავალში ჩატარდება. ეს სპორტსმენები არიან: გოჩა გახარია, ეკა ტაბატაძე, საიხა კაიფატჯანი და მალხაზ მერაბიშვილი. ოთხივე საშუალო სკოლის მოსწავლეა. 11 წლის გოჩა გახარიამ ახლახან პირველად შეასრულა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

კეკი ბოჭორიშვილი.

გუდაურში იწყება საერთაშორისო შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში

საქმედ ქცეული სიტყვა

ამჯერად აქ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სამთომოთხილამურეებთან ერთად სხვა ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენებიც გამოვლენ. ვინ მოიპოვებს გუდაურის საერთაშორისო შეჯიბრების პირველი ლაურეატის საპატიო სახელს? ამაზე ჩვენი რესპუბლიკის ზამთრის ახალი სპორტული ცენტრის მზიურ ტრასებზე გამართული ხუთდღიანი ბრძოლა გასცემს პასუხს.

ამ საინტერესო შეჯიბრებაზე დასწრების მსურველთათვის რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტრომ ხუთი საგანგებო რეისი დანიშნა (ავტობუსები დიდუბის ავტოსადგურიდან გავა).

გუდაურში ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი, კორტინა დ' ამპეცოსა და ინსბრუკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ვიქტორ ტალიანოვი. აი, რა გვითხრა მან:

— ამ ბოლო დროს ხშირად ამბობენ, რომ თანამედროვე სამთოსათხილამურო ცენტრები არ გვყოფნის. მიღებულია მრავალი დადგენილება და გადაწყვეტილება, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. თქვენთან სიტყვა საქმედ ქცეულა — ნუთუ ყველაფერი ეს სულ რაღაც სამ-ოთხ წელიწადში გაკეთდა? აი, რა შეძლებია თავდადებას, ჭეშმარიტ ენთუზიაზმს. შარშან აქ ორი საბაგირო გზა იყო, ახლა კი გუდაური ზამთრის სპორტის ცნობილ ცენტრებს დამსგავსებია. გუშინ დილით სლალომის ტრასაზე გავედი, შვიდი თუ რვა თოვლის სატკეპნი მანქანა მუშაობდა ერთდროულად. აქ შეგიძლია იმდენი ტრასა მოაწყო, რამდენსაც მოისურვებ. ალბათ შორს არ არის ის დრო, როდესაც გუდაურში შესაძლებელი გახდება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება. დარწმუნებული ვარ, „გუდაურის გაზაფხული-85“ შესანიშნავი სანახაობა იქნება. სასურველია შეჯიბრება ცენტრალური ტელევიზიითაც გადაიცეს, რათა ყველამ გაიცნოს სპორტული გუდაური. მე მესამედ ჩამოვდივარ აქ არმიელთა ნაკრებთან ერთად. ამჯერად გუნდში 16 სამთომოთხილამურეა. მათ შორის არიან: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონი იუნიორებში ლეონიდ მელნიკოვი, ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი სწრაფდაშვებაში ალექსეი ბოგდანოვი, სპორტის ოსტატები: მიხაილ ტიმოფეევი — ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და მეგობრული არმიების 1985 წლის სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი გიგანტურ სლალომში, სერგეი ნოსოვი — ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და მეგობრული არმიების სპარტაკიადის ჩემპიონი გიგანტურ სლალომში, ოლეგ დოლმანოვი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სუპერგიგანტში. მათგან ყველას შეუძლია მოიგოს „გუდაურის გაზაფხული“, ცხადია, თუ, პირველ ყოვლისა, უცხოელმა მეტოქეებმა და სხვა სპორტსაზოგადოებათა მოთხილამურეებმა არ დაჯაბნეს, ვგულისხმობთ, პირველ ყოვლისა, „ტრუდის“ წარმომადგენელს ვლადიმერ ციგანოვს და დინამოელ ვლადიმერ მაკეევს. ქალებში უძლიერესს ალბათ სპარტაკელების ლარისა ფომიჩოვასა და ოლგა ლოგინოვას ორთაბრძოლა გამოავლენს, მაგრამ მოდით ფინიშამდე ნუ ვიმარჩიელებთ.

ოთარ ნოზაძე,
(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).
გუდაური.

ლიდერები ჩამორჩნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზამთრის III ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში

სახანძრო-გამოყენებითი სპორტის განვითარებას საქართველოს ყველა კუთხეში სათანადო ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, აფხაზეთში ბოლო ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკის ნაკრებისთვის არც ერთი წევრი არ მოუმზადებიათ. წინა ორ ჩემპიონატზე აფხაზეთის ნაკრებმა ბოლოსწინა — მეშვიდე ადგილი დაიკავა ამ სახეობაში. ეს ფაქტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა ორგანოებმა სამართლიანი კრიტიკიდან სათანადო დასკვნებიც გამოიტანეს და შედეგმაც არ დააყოვნა — სოხუმის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მეხანძრე სპორტსმენებისთვის აშენდა ოთხსართულიანი სასწავლო კოშკი ოთხი ბილიკით. ამან აფხაზეთის სპორტსმენებს საშუალება მისცა შეჯიბრებისთვის კარგად მომზადებულიყვნენ და მასპინძლობა გაეწიათ სახანძრო-გამოყენებით სპორტში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზამთრის III ჩემპიონატისთვის.

სოხუმში სასპარეზოდ რვა გუნდმა მოიყარა თავი. ახალი სპორტული ბაზის საზეიმო გახსნის შემდეგ ისინი სახანძრო-გამოყენებითი სპორტის სამ სახეობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

უჩვეულოდ, თეთრ საბურველში გახვეული დახვდა ასპარეზობის მონაწილეებს აფხაზეთის დედაქალაქი. ამან ერთობ გააძნელა როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობისთვის ბრძოლა. კარგად გამოვიდნენ შარშანდელი ჩემპიონები — რუსთავის გუნდის წევრები. მათ გაიმარჯვეს სამივე სახეობაში — 100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, საიერიშო და გასაშლელი კიბით შეჯიბრებაში 7737 ქულა დააგროვეს და ჩემპიონობა შეინარჩუნეს. მეორე ადგილზე აფხაზეთის მეხანძრეები გავიდნენ, თუმცა ჩემპიონებს მთელი 2000 ქულით ჩამორჩნენ. 5136 ქულით მესამე იყო აჭარის ნაკრები.

100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში მოასპარეზეთა შორის პირად ჩათვლაში პირველი იყო თამაზ ბოლქვაძე (აჭარა), მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ თანაგუნდელები გურამ ცეცხლაძე და სულიკო ვარშანიძე (ორივე — რუსთავი). საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეოთხე სართულზე ასვლაში ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა რევაზ სიხარულიძემ (სახანძრო დაცვის სკოლა). მეორე ადგილი დაიკავა კორნელი შანიძემ (აჭარა). სულიკო ვარშანიძე ამ სახეობაშიც მესამე იყო, სამაგიეროდ მან გურამ ცეცხლაძესთან ერთად პირველობა მოიპოვა გასაშლელი კიბით სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლაში. ჩემპიონებს 2,8 წამით ჩამორჩა ევგენი ფილიმონოვისა და გალაქტიონ ივანოვის წყვილი (ფოთი). მესამე ადგილზე იყვნენ თამაზ ბოლქვაძე და კორნელი შანიძე.

ზემოთ ვთქვით, რომ ჩემპიონატის მონაწილეებს სოხუმში ცუდმა ამინდმა შეუშალა ხელი, მაგრამ ყველაფერს თოვლს ვერ დავაბრალებთ. მიუხედავად იმისა, რომ ასპარეზობაში 9 სპორტის ოსტატი და 14 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა, შედეგები მეტად სუსტი იყო.

— წინა ჩემპიონატთან შედარებით ჩვენი ლიდერები საგრძნობლად ჩამორჩნენ, — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრმა ოთარ ნანიკაშვილმა. — მაგალითად, რევაზ სიხარულიძე დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში 45-ე იყო, ხოლო გასაშლელი კიბით შეჯიბრებაში ალექსანდრე კუზინთან ერთად მე-18 ადგილზე დარჩა. ასევე ხელი მოეცარათ კორნელი შანიძეს, მარტიროს პაპოიანს (ახალციხე), თემურ კიზირიას, ევგენი ფილიმონოვს (ორივე — ფოთი) და სხვებს. რით შეიძლება აიხსნას, რომ სპორტის ოსტატი ან ოსტატობის კანდიდატი შეჯიბრებაში მეორე ან მესამე თანრიგის ნორმატივზე უკეთეს შედეგს ვერ აღწევს? ეს მაშინ, როცა სულ მალე საკავშირო პირველობაში მოგვიწევს გამოსვლა.

შარშანდელზე ბევრად სუსტად გამოვიდნენ ახალციხელი მეხანძრეები. წინა ჩემპიონატში ისინი მესამენი იყვნენ, ახლა კი მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ. მეტი მოეთხოვებათ აჭარის, ქუთაისისა და ფოთის სპორტსმენებს.

კიდევ ერთ ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. სამტრედიის ცენტრალურ სტადიონზე ოთხსართულიანი სასწავლო კოშკიც არის და ბილიკებიც. ამ სტადიონზე რესპუბლიკური შეჯიბრებები ტარდება. ერთი სიტყვით, სახანძრო გამოყენებითი სპორტის განვითარებისთვის ყოველგვარი პირობები აქვთ, მაგრამ სამტრედიელ მეხანძრეთა გუნდი შეჯიბრებებში რატომღაც არ ჩანს. სპორტის ამ სახეობას თავს არიდებენ სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის დიდი ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები.

ნინო გიორგაძე.

უცხოეთის სპორტის ამბები

ასიანები

ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირმა (უეფა) ოფიციალურად გამოაქვეყნა „ასიანთა კლუბის“ სია. აქ ნახავთ ფეხბურთელებს, რომლებსაც 100 და მეტი მატჩი აქვთ ნათამაშები ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. აი ისინიც: ბიერნ ნორდკვისტი (შვეცია) — 115 მატჩი, დინო ძოფი (იტალია) — 112, ბობი მური — 108, ბობი ჩარლტონი — 106, ბილ რაიტი (ყველა — ინგლისი) — 105, ტორბერნ სვენსონი (შვეცია) — 104, ფრანც ბეკენბაუერი (გფრ)—103, გჟეგოჟ ლატო (პოლონეთი), იოახიმ შტრაიხი (გდრ) — 102, პეტ ჯენინგსი (ჩრდ. ირლანდია) — 101, იოჟეფ ბოჟიკი (უნგრეთი) — 100.

კანადელები ემზადებიან

კანადის ჰოკეისტებმა უკვე დაიწყეს სამზადისი მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის. ნაკრების მწვრთნელის დეივ კინგის აზრით აღარ უნდა განმეორდეს სარაევოს ოლიმპიადის მწარე გაკვეთილი, როცა ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. „სარაევოში ასეთი წარუმატებლობა კიდევ ასატანი იყო, მაგრამ კალგარიში ახალ მარცხს მაყურებლები არ გვაპატიებენ“.

კანადის სამოყვარულო ჰოკეის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მთავარია ნაკრების მწვრთნელმა საერთო ენა გამონახოს კლუბების ხელმძღვანელებთან და დაუბრკოლებლად მიიღოს მათგან საჭირო კანდიდატები. თუ ეს პრობლემა მოგვარდა, ქვეყნის ნაკრები შეძლებს უმაღლესი ტიტულისათვის ბრძოლას, თუ არა და განმეორდება სარაევოს გაკვეთილი.

რედაქტორი ა. ბოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 08509